

ენა და ენათმეცნიერება

სინტაქსის ზოგიერთი საკითხი მოსე ხონელის
„ამირანდარეჯანიანში“

ლეილა აბზიანიძე

Leila.abzianidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

სტატიაში მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით გაანალიზებულია რთული ქვეწყობილი წინადადების (ჰიპოტაქსის) არსი. მოცემულია, რომელ საკავშირებელ სიტყვას იყენებს დამოკიდებული წინადადება მთავართან დასაკავშირებლად, რა კორელატებია გამოყენებული მთავარში და როგორია პოზიცია დამოკიდებული წინადადებისა მთავარის მიმართ: დგას მთავარი წინადადების წინ, მოსდევს მას, თუ მოქცეულია მთავარში. „ამირანდარეჯანიანში“ ადგილის გარემოებით დამოკიდებული წინადადებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად აჩვენებს ამ ნაწარმოებში ასახულ იმ ისტორიულ ენობრივ ცვლილებებზე, რომლებიც თან ახლდა საშუალო ქართული ენის წარმოქმნასა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თვისებრივი ელემენტების თანდათანობით დამკვიდრებას.

საკვანძო სიტყვები: „ამირანდარეჯანიანი“, ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, საკავშირებელი სიტყვები, კორელატები.

რთული ქვეწყობილი წინადადების (ჰიპოტაქსის) ჩამოყალიბება ენის ხანგრძლივი განვითარების შედეგია. მარტივ, შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებთან ან შედარებით რთული ქვეწყობილი წინადადება ამა თუ იმ ენის სინტაქსური სისტემის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ჰიპოტაქსის გენიზისისა და არსის საკითხების შესწავლას ენათმეცნიერებაში ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. რთული ქვეწყობილი წინადადების წარმოქმნის, მისი მრავალფეროვანი ევოლუციისა და სტრუქტურულ–სემანტიკური თავისებურებების შესახებ უმდიდრესი სპეციალური ლიტერატურა არსებობს. ჰიპოტაქსის საკითხების კვლევა–ძიებასთან მჭიდროდ არის

დაკავშირებული მოძღვრება დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე (აბზიანიძე 2020, ერთელიშვილი 1962, კვაჭაძე 1977, კვაჭაძე 1981, კიზირია 1969, შანიძე 1980, შანიძე 1979).

ნაშრომის მიზანია, სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით გაანალიზდეს „ამირანდარეჯანიანში“ რომელი საკავშირებელია წარმოდგენილი ადგილის გარემოთი დამოკიდებული წინადადების მთავართან დასაკავშირებლად, რა კორელატებია გამოყენებული და რა პოზიცია უჭირავს გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან მიმართებით.

ზემოხსენებული საკითხების შესასწავლად აღებულია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, XII საუკუნის ქართული სარაინდო რომანი, კლასიკური ქართული მწერლობის ერთი იმ შესანიშნავი ძეგლთაგანი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგშია დასახელებული, როგორც მთელი ეპოქის ბრწყინვალე და პოპულარული ქმნილება. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის დროის, ადგილისა და ავტორის შესახებ ზუსტი ისტორიული ცნობებიარმოგვეპოვება. ამკითხვებზეკვლევა–ძიებასჯერკიდევსაბოლოო პასუხი ვერ მოუწახვავს. ტრადიციის მიხედვით, „ამირანდარეჯანიანის“ ავტორია მოსე ხონელი, მაგრამ ვინ იყო ეს მოსე ხონელი, სად ისწავლა, რა განათლებისა და თანამდებობის კაცი იყო, არავითარი ისტორიული ცნობა და საბუთი ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ლიტერატურის ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ მოსე ხონელს „ამირანდარეჯანიანი“ დაუწერია თამარის მეფობაში – მეთორმეტე საუკუნის ბოლოს, თუ მეცამეტე საუკუნის დამდეგს. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდიან, რომ „ამირანდარეჯანიანი“ არ არის სპარსულიდან ნათარგმნი თხზულება, ის ორიგინალური ნაწარმოებია და ძლიერ ახლოს დგას საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან (ქართული ... 1966).

ჩვენ შევისწავლეთ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით. ვიცით, რომ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შეესაბამება მთავარი წინადადების ადგილის გარემოებას და მიუთითებს, თუ სად ხდება, საიდან იწყება, ან საითკენ მიემართება მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება.

დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატულ ადგილის გარემოების მნიშვნელობას, ან ასრულებს მთავარში გამოხატული ადგილის

ლ. აბზიანიძე

გარემოების როლს. ის მოგვიგებს კითხვებზე სად? საიდან? საითკენ? სადამდე? მთავარ წინადადებას უკავშირდება მაქვემდებარებელი კავშირით რომ და მიმართებითი ზმნიზედებით სადაც(საცა), საიდანაც, საითკენაც, საითაც, მთავარში მოიპოვება მისათითებელი ზმნიზედები (კორაციტები) იქ, იქვე, იქით, იქითკენ, იქიდან, ყველგან, მუნ.

ვნახეთ ამათგან რომელი საკავშირებლები და კორელატები გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“. ასევე გავარკვიეთ, რა პოზიცია უჭირავს ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან მიმართებაში: დგას მთავარი წინადადების წინ, მოსდევს მას თუ მოქცეულია მთავარში.

„ამირანდარეჯანიანში“ საკავშირებელ სიტყვებად გამოყენებული გვაქვს სადა.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ „სა“ ფუძეზე აგებული სადა–სად კითხვითი ზმნიზედის საფუძველზეა მიღებული.

სადა კავშირი. იგი იხმარება როგორც უნაწილაკოდ, ისე –ცა. იგი ნაწილაკების დართვით სადა–იგი, სადა–ცა „ამირანდარეჯანიანში“ სადა ძირითადი საკავშირებელი სიტყვაა ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შესაერთებლად მთავარ წინადადებასთან.

წამოვიყვანეთ და მოვიყვანეთ, სადა იყო სამყოფი ინდო ჭაბუკისა (მოსე ხონელი 1980: 323,7).

სადა ჩვენ მივალთ, მუნ სხვანიცა დგანან (მოსე ხონელი 1980: 415,20).

სადა არა გწადდეს, არა წაგიტანეო (მოსე ხონელი 1980: 430,24).

მივედით ჩვენ და, სადა უფროსნი დგეს, მუნ შევებნით (მოსე ხონელი 1980: 445,17).

სადაცა

სადაცა მინდორსა შიგან ლომი დახვდის, მან ცოტამან ყმამან, ვითა კატა, მოკლის (მოსე ხონელი 1980: 312,11).

სადაცა გიჯობდეს, მუნცა იყავ (მოსე ხონელი 1980: 395,17).

ვმეკობრობდით და, სადაცა ლაშქარნი შეგვებმოდიან დავხოცნით (მოსე ხონელი 1980: 406,38).

სადა–იგი. სადა საკავშირებელი სიტყვა იგი ნაწილაკით თავისი ფუნქციით იგივეა, რაც სადაცა მაგრამ „ამირანდარეჯანიანში“ იშვიათა გვხვდება.

მუნითცა გამოვიდეთ სადა–იგი ვემაჰნი დავხოცნით (მოსე ხონელი 1980: 310,9).

აწ მიწურვილხარ, სადა იგი მეფისა ასული არს (მოსე ხონელი 1980: 430,39).

წამოვედით და, სადა იგი ვეშაპი მოკლა, მუნ მივედით (მოსე ხონელი 1980: 431,19).

შეიდლება დავასკვნათ, რომ „ამირანდარეჯანიანში“ ადგილის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებას მთავართან დასაკავშირებლად გამოყენებული გვაქვს: სადა, სადაცა, სადა იგი საკავშირებლები. ახალ ქართულ სალიტერატურო ენას „ამირანდარეჯანიანიდან“ შემორჩა მხოლოდ სადაცა და ისიცა ხმოვან-მოკვეცილია. ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვები საიდანაც საითკენაც, სადაც კი „ამირანდარეჯანიანში“ არ დასტურდება.

მისათითებელი სიტყვები (კორელატები) მთავარ წინადადებაში. ცნობილია, რომ სალიტერატურო ენაში მთავარ წინადადებაში ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც თავისი შინაარსით უკვე მიგვითითებს დამოკიდებული წინადადების არსებობაზე. ასეთი სიტყვები, ჩვეულებრივ, ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, საკორელაციო სიტყვა ჰქვია. იგი წარმოდგენილია სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვის სახით და ერთსა და იმავე დროს არის როგორც წინადადების წევრი, ისე მთავარი და დამოკიდებული წინადადების ურთიერთკავშირის გამომხატველი.

ახალ სალიტერატურო ქართულში ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კორელატებად მიიჩნევა იქ, იქვე, იქიდა, იქითკენ, იქიდან, ყველგან ... მათთან ერთად აგრეთვე მუნ (რომელიც იშვიათად გვხვდება).

„ამირანდარეჯანიანში“ გვხვდება შემდეგი კორელაციები:

მუნ. როგორც ცნობილია მუნ იმასვე ნიშნავდა ძველად, რაც დღევანდელი იქ.

სადაცა კარგი მგოსანი იყო, ყველა მუნ მოვიდის (მოსე ხონელი 1980: 373,13).

სადა იგი ორიათასი კაცი იდგა, მუნ მივედით (მოსე ხონელი 1980: 392,32).

წამოვედით და, სადა იგი ვეშაპი მოკლა, მუნ მივედით (მოსე ხონელი 1980: 431,19).

მუნცა. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია რომ მუნ კორელატი ძალიან იშვიათად დაირთავს ცა ნაწილაკს.

ლ. აბზიანიძე

სადაცა გიჯობდეს მუნცა იყავ (მოსე ხონელი 1980: 395,35).

მუნით

სითაც ბრძანოთ, მუნით წავიდეთო (მოსე ხონელი 1980: 303,10).

მუნითცა

მუნითცა გამოვიდეთ, სადა იგი ვეშაპი დავხოცნოთ (მოსე ხონელი 1980: 310,9).

იქი-აქა

მე მოვიხსენე „სადა შენ მიხვალ; იგი, ღმერთო, ომი არა დაგვეცვისო (მოსე ხონელი 1980: 350,30).

გვესმოდა ქება ჭაბუკობისა შენისა და გვინდოდა ნახვა შენი, და აქა უფრო გვინდოდა, სადაცა გნახვთ (მოსე ხონელი 1980: 351,22).

როგორც დავინახეთ „ამირანდარეჯანში“ კორელეტათაგან გვხვდება მუნ, მუნცა, მუნით, მუნითცა, იქი-აქა.

პოზიცია დამოკიდებული წინადადების მთავრის მიმართ. ცნობილია, რომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში დამოკიდებული წინადადება შეიძლება წინ უსწრებდეს მთავარ წინადადებას, მოსდევდეს მას ან მთავარში იყოს მოქცეული. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს „ამირანდარეჯანიანში“. დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას ან მოქცეულია მთავარში. ვნახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს „ამირანდარეჯანიანში“.

ა). ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს.

სადაცა იყოს, ოცდაათი ტაიჭი ჰყავს (მოსე ხონელი 1980: 322,14).

სადა შენ მიხვალ იქი, ღმერთო ომი არა დაგვეცვისო (მოსე ხონელი 1980: 322,14).

ბ). დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს.

მოვიყვანეთ, სადა იყო სამყოფი ინდო ჭაბუკისა (მოსე ხონელი 1980: 323,7).

აწ მიწურვილთარ, სადა იგი მეტისა ასული არს (მოსე ხონელი 1980: 430,39).

გ) ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩართულია მთავარში.

იგიცა და ესეც ორივე სამეფო შენი არის და, სადაცა გიჯობდეს, შენცა იყავ (მოსე ხონელი 1980: 395,34).

ვმეკობრობდით და, სადაცა ლაშქარნი შეგვებრძოლიან, დავხოცნით და გავაქციენტ (მოსე ხონელი 1980: 405,36).

წამოვედით და, სადა იგი ვეშაპი მოეკლა, მუნ მოვედით (მოსე ხონელი 1980: 431,19).

როგორც დავინახეთ, ადგილის გარემოების დამოკიდებული წინადადება პოზიციის მხრივ ახალ ქართულთან შედარებით, მთავარი წინადადების მიმართ რაიმე არსებით სხვაობას არ გვაძლევს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ამირანდარეჯანიანში“ ადგილის გარემოებით დამოკიდებული წინადადებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად აჩვენებს, ამ ნაწარმოებში ასახულ იმ ისტორიულ ენობრივ ცვლილებებზე, რომლებიც თან ახლდა საშუალო ქართული ენის წარმოქმნასა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თვისებრივი ელემენტების თანდათანობით დამკვიდრებას.

ლიტერატურა

- აბზიანიძე, ლეილა. 2020. *ქართული ენის სინტაქსი*. ქუთაისი.
- ერთელიშვილი, ფარნაოზ. 1962. *რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში*. თბილისი.
- კვაჭაძე, ლეო. 1977. *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი.
- კვაჭაძე, ლეო. 1981. *ქართული ენა, I ნაწ.* თბილისი.
- კიზირია, ანტონ. 1969. *რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში*. თბილისი. მოსე ხონელი. 1980. „ამირანდარეჯანიანი“. თბილისი.
- ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. II. 1966. რედ.; ლეონიძე გიორგი და სხვ. თბილისი.
- შანიძე, აკაკი. 1980. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად*. ტ., 3, თბილისი.
- შანიძე, აკაკი. 1979. *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი.

Language and Linguistics

Some Syntax Issues in Mose Khoneli's "Amiran-Darejaniani"

Leila Abzianidze

Leila.abzianidze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The article analyzes the essence of a complex sentence with a subordinate clause (hypotaxis) with regard to "Amiran-Darejaniani" ("The story of Amiran, son of Darejan") by Mose Khoneli. It shows which conjunctions the subordinate clause uses to connect with the main one, what correlates are used in the main one and what the position of the subordinate clause in relation to the main one is: does it precede the main clause, does it follow the main clause, or is it included in it? The study of the issues related to adverbial clause of place in "Amiran-Darejaniani" based on the data of the modern Georgian literary language, clearly shows the historical language changes reflected in this work, which accompanied the formation of the middle Georgian language and the gradual establishment of the qualitative elements of the new Georgian literary language.

Keywords: "Amiran-Darejaniani", adverbial clause of place, conjunctions, correlates.

The formation of a complex sentence with a subordinate clause (hypotaxis) is the result of a long development of the language. Compared to simple and compound sentences, a complex sentence represents the highest level of development of the syntactic system of a given language. That is why the study of the genesis and essence of hypotaxis occupies one of the most important places in linguistics. There is a voluminous special literature devoted to the formation of a complex sentence, its diverse evolution and structural-semantic features. The doctrine of the types of subordinate clauses is closely connected with the study of the issues related to hypotaxis.

The aim of the paper is to analyze which conjunctions are found to connect adverbial clause of place with the main clause, what correlates are used and what position the adverbial clause of place holds in relation to the main one in "Amiran-Darejaniani" based on the special literature.

"Amiran-Darejaniani" by Mose Khoneli (Moses of Khoni), a 12th century Georgian novel and one of the great monuments of classical Georgian literature,

is taken to study the above-mentioned issues. The work is mentioned in the epilogue of “The Knight in the Panther’s Skin” as a brilliant and popular creation of the entire era.

It is emphatically stated in the special literature that we cannot find accurate historical information about the time and place of origin and author of “Amiran-Darejaniani”. Research on these questions has not found a final answer yet.

Traditionally, the author of “Amiran-Darejaniani” is Mose Khoneli. However, no historical information or evidence about who Mose Khoneli was, where he studied, what his education and position was cannot be found. Literary historians assume that Mose Khoneli wrote “Amiran-Darejaniani” during the reign of Tamar _ at the end of the twelfth century, or at the beginning of the thirteenth century. Historians of Georgian literature finally come to the conclusion that “Amiran-Darejaniani” is not a work translated from Persian, but it is an original work and is very close to the historical reality of Georgia.

The article determines which conjunctions and correlates are found in “Amiran-Darejaniani”, what position the adverbial clause of place has in relation to the main clause: does it precede the main clause, does it follow or is included in the main clause?

In “Amiran-Darejaniani” the word “sada” (where) is used as a conjunction.

“Sada-igi” a linking word with a particle “igi” has the same function as “sadatsa” (where, whither), but it is rarely found in “Amiran-Darejaniani”.

It can be concluded that in “Amiran-Darejaniani” “sada”, “sadatsa”, “sada-igi” (where, whither) are used as conjunctions to connect adverbial clauses of place with the main clause.

From “Amiran-Darejaniani” “sadatsa” has survived in the new Georgian literary language and a final vowel is elided. The conjunctions of the adverbial clause of place characteristic of the new Georgian literary language _ “saidanats”, “saitkenats”, “sadats ki” (where, where to, wherever) are not confirmed in “Amiran-Darejaniani”.

Correlative words (correlates) in the main sentence. It is known that in the literary language in the main clause there is often such a word which by its content already indicates the existence of a dependent/subordinate clause. Such words are usually demonstrative pronouns and adverbs. Their general meaning is specified and clarified by the subordinate clause. The indicative words to the subordinate clause, which are found in the main clause, are called correlates. They are the words with a definite meaning and at the same time they are both

ლ. აბზიანძე

a member of the sentence and an indicator of the relationship between the main and subordinate clause.

In the new literary Georgian language, “ik”, “ikve”, “ikit”, “ikitken”, “ikidan”, “q'velgan” (there, over there, from there, everywhere) are considered to be the correlates of the adverbial clause of place. Along with them the word “mun” (there) can also be found, but it is rare.

In “Amiran-Darejaniani” the following correlates can be found: “mun”, “muntsa”, “munit”, “munitatsa”, “ika-ak” (there).

Position of the subordinate clause in relation to the main clause. It is known that in the new Georgian literary language a subordinate clause can precede the main clause, follow it or be included in the main clause. A similar situation can be observed in “Amiran-Darejaniani”. A subordinate clause precedes, follows, or is included in the main clause.

It can be concluded that the study of the issues related to adverbial clause of place in “Amiran-Darejaniani” based on the data of the modern Georgian literary language, clearly shows the historical language changes reflected in this work, which accompanied the formation of the middle Georgian language and the gradual establishment of the qualitative elements of the new Georgian literary language.